საეკრანო პროფილის ტრანსფორმაცია: დიქტორიდან წამყვანამდე (საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის მაგალითი)

THE TRANSFORMATION OF THE ON-SCREEN PROFILE: FROM ANNOUNCER TO PRESENTER (THE CASE OF THE FIRST CHANNEL OF THE GEORGIAN PUBLIC BROADCASTER).

ნინო ჭალაგანიძე
ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
Nino Chalaganidze
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Email: nino.chalaganidze@tsu.ge
ORCID: 0000-0002-4739-1876

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია სატელევიზიო ჟურნალისტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროფესიული ტრანსფორმაცია, - დიქტორის ინსტიტუტიდან თანამედროვე ტელეწამყვანის მოდელზე გადასვლა. კვლევის მიზანია აჩვენოს, თუ როგორ შეიცვალა საეკრანო პროფილი, ფუნქციები და ჟურნალისტური იდენტობა საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის ევოლუციის კონტექსტში.

ნაშრომში გაანალიზებულია გარდამავალი პერიოდი, როდესაც მკაცრად რეგლამენტირებული, „ოფიციალური ხმის“ მქონე დიქტორი ჩაანაცვლა მეტი ავტონომიისა და ინტერაქციურობის მქონე მოდერატორმა/წამყვანმა.

კვლევის პროცესში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები, კერძოდ, საარქივო ვიდეომასალის კონტენტ-ანალიზი და სიღრმისეული ინტერვიუები სხვადასხვა თაობის ტელესახეებთან/მედიაექსპერტებთან, აგრეთვე, ისტორიული კვლევის მეთოდი.

კვლევის შედეგად დგინდება, რომ საეკრანო პროფილის ცვლილება არ ყოფილა მხოლოდ ვიზუალური ან ტექნოლოგიური ხასიათის; მას საფუძვლად უდევს ღრმა იდეოლოგიური ტრანსფორმაცია, - საბჭოთა პროპაგანდისტული მოდელიდან დასავლურ საზოგადოებრივ მაუწყებლობაზე გადასვლა.

ნაშრომი ნათელს ჰფენს იმ სირთულეებსა და თავისებურებებს, რაც ქართულმა მედიამ პროფესიული იდენტობის ხელახალი განსაზღვრის პროცესში გაიარა.

საკვანძო სიტყვები: *ტრანსფორმაცია, დიქტორი, ტელეწამყვანი, საზოგადოებრივი მაუწყებელი.*

Abstract

This article examines one of the most significant professional transformations in television journalism—the shift from the institution of the announcer to the model of the modern TV presenter. The study aims to demonstrate how the on-screen profile, functions, and journalistic identity changed within the context of the evolution of the First Channel of the Georgian Public Broadcaster.

The paper analyzes the transitional period during which the strictly regulated announcer, possessing an "official voice" was replaced by a moderator/presenter characterized by greater autonomy and interactivity.

The research employs qualitative research methods, specifically content analysis of archival video materials and in-depth interviews with television personalities and media experts from different generations, as well as the historical research method.

The findings establish that the transformation of the on-screen profile was not merely visual or technological in nature; it was underpinned by a profound ideological transformation—the shift from the Soviet propagandistic model to Western-style public broadcasting.

The paper sheds light on the challenges and distinctive features that Georgian media underwent in the process of redefining its professional identity.

Keywords: *Transformation, Announcer, TV Presenter, Public Broadcaster.*

შესავალი

თანამედროვე მედიაგარემოს განვითარებასთან ერთად, სატელევიზიო კომუნიკაციის ფორმები და საეკრანო პროფილებიც მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას განიცდის. ტრადიციული დიქტორის ინსტიტუტი, რომელიც მრავალი ათწლეულის განმავლობაში ქართული ტელევიზიის სახეს განსაზღვრავდა, თანდათანობით უფრო დინამიკური და მრავალფუნქციური წამყვანის პროფილით იცვლება. ეს პროცესი განსაკუთრებით თვალსაჩინოა საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე, რომელიც ქართული ტელევიზიის ისტორიულ და ინსტიტუციურ საფუძველს წარმოადგენს. საბჭოთა პერიოდსა და დამოუკიდებლობის პირველ წლებში დიქტორის როლი, ძირითადად, ინფორმაციის ობიექტურ და სტანდარტიზებულ გადმოცემას უკავშირდებოდა. ისეთი გამოჩენილი ფიგურები, როგორებიც იყვნენ ალექსანდრა მაჭავარიანი, დონარა კინწურაშვილი, ეროსი მანჯგალაძე თუ კოტე მახარაძე, არა მხოლოდ ტექსტის წამკითხველები, არამედ საზოგადოებრივი ავტორიტეტისა და კულტურული სტაბილურობის სიმბოლოები იყვნენ. მათი საეკრანო იმიჯი გამოირჩეოდა ფორმალურობით, ნეიტრალური ტონითა და გარკვეული დისტანციით მაყურებელთან.

საზოგადოებრივი მაუწყებლის სტატუსის მიღების შემდეგ (2004 წ.), პირველ არხზე საეკრანო პროფილის თანდათანობითი ევოლუცია დაიწყო. დიქტორის ტრადიციული მოდელი წამყვანის უფრო აქტიური, ინტერაქტიური და კონტექსტუალურად

მრავალფეროვანი როლით შეიცვალა. დღეს წამყვანი გვევლინება, როგორც დისკუსიის მოდერატორი, ანალიტიკოსი და საზოგადოებრივი დიალოგის ფორმირების აქტიური მონაწილე, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა ისეთ გადაცემებში, როგორიცაა „მოამბე“, „დღის თემა“ , „კვირის თემა“ და სხვ.

ამ ტრანსფორმაციის აქტუალურობა რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული ფაქტორითაა განპირობებული. ციფრული ტექნოლოგიების გავრცელებამ და სოციალური მედიის დომინირებამ შეცვალა მაყურებლის მოლოდინები: დღეს უპირატესობა ავთენტურობას, უშუალობასა და ემოციურ ჩართულობას ენიჭება. ამასთანავე, საზოგადოებრივი მაუწყებლობის საჯარო მისია მოითხოვს პლურალიზმის, კრიტიკული აზროვნებისა და სხვადასხვა სოციალურ ჯგუფთან დიალოგის უზრუნველყოფას, რაც ტრადიციული დიქტორის ფორმატის ფარგლებს ბევრად სცდება. გარდა ამისა, ტექნოლოგიურმა პროგრესმა და მედიალანდშაფტის გლობალიზაციამ ახალი მოთხოვნები წამოაყენა საეკრანო პერსონის მიმართ. ამ კონტექსტში საეკრანო პროფილის ტრანსფორმაციის შესწავლა საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის მაგალითზე არა მხოლოდ მედიის ისტორიული ევოლუციის გაანალიზების, არამედ თანამედროვე კომუნიკაციური პრაქტიკებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ურთიერთმიმართების გააზრების საშუალებას იძლევა. ამდენად, აღნიშნული თემა მედიის კვლევების, ჟურნალისტიკის თეორიისა და კომუნიკაციის მეცნიერებისთვის მნიშვნელოვან სამეცნიერო და პრაქტიკულ ინტერესს წარმოადგენს.

საკვლევი პრობლემის არსი იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე ათწლეულების განმავლობაში დამკვიდრებული საეკრანო კომუნიკატორის მოდელი: საბჭოური დიქტორი, რომელიც წარმოადგენდა სახელმწიფოს ფორმალურ, უპიროვნო და ემოციურად ნეიტრალურ ხმას, მკაცრად განსაზღვრული ტექსტის უბრალო შემსრულებელს, ჟურნალისტური კომპეტენციისა თუ პირადი აზრის გამოხატვის გარეშე, თანდათან ჩანაცვლდა თანამედროვე წამყვანის ფიგურით, ჟურნალისტი-კომუნიკატორით, - საკუთარი სტილით, ავტორობითა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია - ანალიტიკური ხმით.

ეს ტრანსფორმაცია, ერთდროულად, რამდენიმე შრეზე მიმდინარეობდა და სწორედ ამ შრეების ურთიერთმიმართება წარმოშობს კვლევის აუცილებლობას: ინსტიტუციურ დონეზე გაურკვეველია, რამდენად პირდაპირ და რა მექანიზმებით აისახა საზოგადოებრივ მაუწყებლობაზე გადასვლისა და დემოკრატიზაციის პროცესებმა (განსაკუთრებით 2004-2005 წლების რეფორმებმა) კონკრეტულად საეკრანო პროფესიის ტრანსფორმაციაზე პირველ არხზე; პროფესიულ დონეზე გაუგებარია, როგორ შეიცვალა თავად პროფესიის განმსაზღვრელი კომპეტენციების ნაკრები, სტატუსი და თვითაღქმა, - შემსრულების ფუნქციიდან ავტორობამდე; კომუნიკაციურ-აუდიტორიულ დონეზე კი გაურკვეველი რჩება ნდობისა და ავტორიტეტის მექანიზმების ცვლილება. ფორმალურ, ინსტიტუციურ სტატუსზე დაფუძნებული ნდობა თანდათან ჩანაცვლდა პიროვნულ ავთენტურობასა და პარასოციალურ სიახლოვეზე დაფუძნებული ურთიერთობით. ამასთან, აღნიშნული პროცესი არ არის ცალსახად პროგრესული, ის ხშირად ლავირებს პროფესიონალიზმსა და,

მეორე მხრივ, ჟანრობრივ თუ სტილურ კომერციალიზაციას (ე. წ. ინფოთეინმენტისკენ მიდრეკილებას) შორის, რაც განსაკუთრებით პარადოქსულია სწორედ საზოგადოებრივი, არაკომერციული მაუწყებლის კონტექსტში. შესაბამისად, საკვლევი პრობლემა მდგომარეობს არა უბრალოდ იმის კონსტატაციაში, რომ დიქტორი წამყვანით შეიცვალა, არამედ სისტემურ გააზრებაში, თუ რა პოლიტიკურ-ინსტიტუციურმა, პროფესიულმა და კომუნიკაციურმა ფაქტორებმა განაპირობა ეს გარდაქმნა საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის მაგალითზე და რა შედეგები მოჰყვა მას საეკრანო პროფესიის იდენტობისა და აუდიტორიასთან ურთიერთობის მოდელისთვის. თემა ქართულ მედიაკვლევებში სისტემურად შესწავლილი დღემდე არ არის.

კვლევის მიზნები:

1. გამოვლინდეს და სისტემურად აღიწეროს ის ისტორიულ-ინსტიტუციური ეტაპები და ფაქტორები (მათ შორის, სახელმწიფო მაუწყებლიდან საზოგადოებრივ მაუწყებლობაზე გადასვლის რეფორმები), რომლებმაც განაპირობა საეკრანო კომუნიკატორის პროფესიული მოდელის ტრანსფორმაცია დიქტორიდან წამყვანამდე საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე.

2. განისაზღვროს, რა შეიცვალა თავად პროფესიის შინაარსში: კომპეტენციების ნაკრებში, როლში, სტატუსსა და თვითაღქმაში - შემსრულებლის ფუნქციიდან ავტორობასა და ანალიტიკურ როლზე გადასვლისას.

3. გაანალიზდეს, როგორ შეცვალა აღნიშნულმა ტრანსფორმაციამ აუდიტორიის ნდობისა და ავტორიტეტის დამყარების მექანიზმი: ფორმალურ, ინსტიტუციურ სტატუსზე დაფუძნებული ნდობიდან პიროვნულ ავთენტურობასა და პარასოციალურ სიახლოვეზე დაფუძნებულ ურთიერთობამდე.

კვლევის ამოცანები:

1. მოძიებულ და დამუშავებულ იქნას ისტორიული, ინსტიტუციური და დოკუმენტური მასალა (საარქივო ჩანაწერები, საკანონმდებლო აქტები, მაუწყებლის შინაგანაწესები) საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიიდან საზოგადოებრივ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის შესახებ და გამოიკვეთოს ის საკვანძო ეტაპები, რომლებმაც უშუალო გავლენა მოახდინა საეკრანო კომუნიკატორის მოდელზე;
2. განისაზღვროს დიქტორისა და წამყვანის ტიპოლოგიური მახასიათებლები (მეტყველების სტილი, ტექსტთან ურთიერთობა, გამოსახულების/კადრის ორგანიზება, ფუნქციური დატვირთვა) და ჩამოყალიბდეს ანალიზისთვის საჭირო შედარებითი კრიტერიუმები;
3. შედარებითი ანალიზის მეთოდით შესწავლილ იქნას პირველი არხის საეთერო მასალის ნიმუშები სხვადასხვა პერიოდიდან, რათა თვალსაჩინო გახდეს პროფესიული როლის თანდათანობითი ტრანსფორმაცია;

4. ჩატარდეს ინტერვიუები/გამოკითხვა მოქმედ ან ყოფილ წამყვანებთან და მედიაპროფესიონალებთან პროფესიული კომპეტენციების, სტატუსისა და თვითაღქმის ცვლილების შესახებ;
5. ჩამოყალიბდეს დასკვნები საეკრანო პროფესიის ტრანსფორმაციის ზოგადი ტენდენციებისა და მისი შედეგების შესახებ საზოგადოებრივი მაუწყებლის იდენტობისა და აუდიტორიასთან ურთიერთობისთვის.

საკვლევი კითხვები:

RQ 1: რა პოლიტიკურ-ინსტიტუციურმა ფაქტორებმა და რეფორმებმა (მათ შორის, სახელმწიფო მაუწყებლიდან საზოგადოებრივ მაუწყებლობაზე გადასვლამ) განაპირობა საეკრანო კომუნიკატორის პროფესიული მოდელის ტრანსფორმაცია დიქტორიდან წამყვანამდე საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე?

RQ 2: როგორ შეიცვალა საეკრანო კომუნიკატორის პროფესიული როლი, კომპეტენციები და თვითაღქმა შემსრულებლის ფუნქციიდან ავტორობასა და ანალიტიკურ როლზე გადასვლის პროცესში?

RQ 3: რა გავლენა მოახდინა ამ ტრანსფორმაციამ აუდიტორიასთან ნდობისა და ავტორიტეტის დამყარების მექანიზმზე - ფორმალურ, ინსტიტუციურ სტატუსზე დაფუძნებული ნდობიდან პიროვნულ ავთენტურობასა და პარასოციალურ სიახლოვეზე დაფუძნებულ ურთიერთობამდე?

ჰიპოთეზა:

H_1: საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე დიქტორიდან წამყვანამდე პროფესიული ტრანსფორმაცია არ იყო მხოლოდ ტექნიკური თუ სტილისტური ცვლილება, არამედ პირდაპირ და კანონზომიერად უკავშირდებოდა მაუწყებლის ინსტიტუციურ გარდაქმნას სახელმწიფო კონტროლის ქვეშ მყოფი მედიიდან საზოგადოებრივ მაუწყებლობამდე. ამ პროცესში პროფესიის ავტორობის, ანალიტიკური ფუნქციისა და პიროვნული სტილის გაძლიერების პარალელურად, აუდიტორიის ნდობის ფორმირების მექანიზმიც ფორმალურ-ინსტიტუციურიდან პიროვნულ-პარასოციალურად ჩამოყალიბდა.

კვლევის ობიექტი:

კვლევის ობიექტს წარმოადგენს საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის საეთერო კომუნიკატორთა პროფესიული კორპუსი და მისი ისტორიული ტრანსფორმაცია, კერძოდ, საეთერო მასალა, რომელშიც ასახულია დიქტორისა და წამყვანის ფუნქციური მოდელები სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში, ასევე თავად ეს პროფესიული ჯგუფი (დიქტორები, წამყვანები, მედიაპროფესიონალები) და მასთან დაკავშირებული ინსტიტუციური/ორგანიზაციული პრაქტიკა საზოგადოებრივ მაუწყებელში.

უფრო მოკლედ რომ ჩამოვაყალიბოთ: **კვლევის ობიექტია საეკრანო პროფესიული პროფილის (დიქტორი/წამყვანი) ტრანსფორმაციის პროცესი საქართველოს**

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე, მისი ისტორიული, ინსტიტუციური და კომუნიკაციური განზომილებები.

კვლევის საგანს წარმოადგენს საეკრანო კომუნიკატორის პროფესიული როლის, ფუნქციური მახასიათებლებისა და კომუნიკაციური სტილის ცვლილება დიქტორიდან წამყვანამდე, კერძოდ, ის კონკრეტული პარამეტრები, რომლებშიც ვლინდება ეს ტრანსფორმაცია: ტექსტთან/კონტენტთან ურთიერთობის ხასიათი (მკაცრად განსაზღვრული ტექსტის შესრულებიდან ავტორობასა და ანალიტიკურ ინტერპრეტაციამდე), საეთერო ქცევისა და მეტყველების სტილის ცვლილება (ფორმალურ-ნეიტრალურიდან პიროვნულ-ინდივიდუალურამდე), პროფესიული სტატუსისა და კომპეტენციების გარდაქმნა და აუდიტორიასთან ურთიერთობის მოდელი (ინსტიტუციურ ავტორიტეტზე დაფუძნებული ნდობიდან პარასოციალურ სიახლოვემდე).

ამდენად, თუ **ობიექტი** არის თავად პირველი არხის საეთერო კომუნიკატორთა პროფესიული კორპუსი და მასთან დაკავშირებული საეთერო/ინსტიტუციური მასალა, **საგანი** პროფესიული როლის, სტილისა და ნდობის მექანიზმის ტრანსფორმაციაა დიქტორიდან წამყვანამდე, რაზეც უშუალოდ ფოკუსირდება ანალიზი.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის ფუნქციონირების სისტემურ და სიღრმისეულ ანალიზს. შესავალ ნაწილში წარმოდგენილია მედიის არსის ზოგადი მიმოხილვა, დასაბუთებულია კვლევის აქტუალურობა და განსაზღვრულია მისი სუბიექტი, ობიექტი, მიზანი და კვლევის კითხვები.

კვლევის ღერძს წარმოადგენს თეორიული ჩარჩო და სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა, რაც საფუძველს უქმნის ნაშრომში წარმოდგენილ არგუმენტაციას. მეთოდოლოგიური ჩარჩო უზრუნველყოფს კვლევის პრაქტიკული ნაწილის თანმიმდევრულ და დასაბუთებულ წარმოჩენას, ხოლო ნაშრომის ცენტრალურ ღერძს - მისი მოცულობის ნახევარზე მეტს, ემპირიული მასალის ანალიზი შეადგენს. დასკვნით ნაწილში განზოგადებულია მიღებული შედეგები და შეჯამებულია კვლევის ძირითადი მიგნებები. ნაშრომს ერთვის ბიბლიოგრაფია და დანართები, რომლებიც კვლევის სანდოობის დამატებით გარანტიას წარმოადგენს და დამოწმებული წყაროების იდენტიფიცირებას ამარტივებს.

თეორიული ჩარჩო: დიქტორის წამყვანად ტრანსფორმაციამედიის განვითარების ერთ-ერთი საკვანძო ეტაპია. ამ პროცესის გასააზრებლად კვლევა ეყრდნობა ორ თეორიულ მიდგომას.

დღის წესრიგის თეორია განმარტავს, თუ როგორ განსაზღვრავს მედია, რომელი თემები ხდება საზოგადოებისთვის პრიორიტეტული. წამყვანი აქ დღის წესრიგის აქტიურ მონაწილედ და ინფორმაციის ორგანიზატორად გვევლინება. თეორია პირველად ჩამოაყალიბეს მაქსველ მაკკომბსმა და დონალდ შომ 1972 წელს გამოქვეყნებულ ფუნდამენტურ ნაშრომში, სადაც ჩაპელ ჰილის ას მოქალაქესთან ჩატარებულმა კვლევამ დაადასტურა კორელაცია მედიის დღის წესრიგსა და საზოგადოებრივ აღქმას შორის

(McCombs & Shaw, 1972). ნაშრომმა საფუძველი ჩაუყარა 400-ზე მეტ შემდგომ ემპირიულ კვლევას და დღემდე რჩება დისციპლინის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან თეორიად (Wayne Wanta, 2017). კონცეფციის ინტელექტუალურ წინაპრად შეიძლება ჩაითვალოს ვალტერ ლიპმანის 1922 წლის ნაშრომი „საზოგადოებრივი აზრი", სადაც ავტორი წერდა, რომ საზოგადოება რეაგირებს არა რეალურ გარემოზე, არამედ „ჩვენს თავში არსებულ სურათებზე" - ანუ ფსევდოგარემოზე (Lippmann, 1922).

აუდიტორიის გამოყენებისა და კმაყოფილების თეორია კი აქცენტს აუდიტორიის აქტიურ როლზე სვამს: ლასუელის ოთხფუნქციური მოდელიდან (მეთვალყურეობა, კორელაცია, გართობა, კულტგანმანათლებლობა) (Katz, 1973) კაცის, ბლუმლერისა და გურევიჩის 1974 წლის კვლევამდე (Katz, Blumler & Gurevitch, 1973) - ეს მიდგომა მედია-პროცესს ორმხრივ ურთიერთქმედებად წარმოაჩენს, სადაც ვიდალისა და ლევის (1985) განმარტებით, აუდიტორიის აქტიური ჩართულობა თავად განსაზღვრავს ზემოქმედების საბოლოო შედეგს (Levy & Windahl, 1985).

ორივე თეორიის ემპირიულ საილუსტრაციოდ გამოდგება უოლტერ კრონკაიტის (1916–2009) მაგალითი - CBS Evening News-ის წამყვანი, რომელსაც 1962-1981 წლებში ამერიკის ყველაზე სანდო ჟურნალისტად მიიჩნევდნენ. კრონკაიტი, დიქტორობიდან წამყვანობამდე პირველი ტრანსფორმირებული ფიგურა, აშუქებდა უმნიშვნელოვანეს მოვლენებს: არჩევნებიდან კენედის მკვლელობამდე, და თავისი ავტორიტეტით ცხადყო, რომ მედიას არა მხოლოდ თემების შერჩევა შეუძლია, არამედ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაც (Najberg, 2009).

მედიის ევოლუცია საქართველოში

ქართული ტელემაუწყებლობის ისტორია 1956 წლიდან იწყება. საწყის ეტაპზე ტექნიკური სიმწირე (ორი კამერა, ტიტრებისა და მონტაჟის არარსებობა, პირდაპირი ეთერი) დიქტორებისგან იმპროვიზაციისა და სწრაფი რეაგირების უნარს მოითხოვდა.

გარდამტეხი აღმოჩნდა 1991 წლის 26 მაისი - დამოუკიდებლობის მოპოვების დღე, რომელმაც დღის წესრიგში პლურალიზმისა და სიტყვის თავისუფლების საჭიროება დააყენა. 1995 წლის კონსტიტუციის 24-ე მუხლმა ცენზურა აკრძალა (კონსტიტუცია, 1995), ხოლო 1990-2000 წლებში დაახლოებით 600 ახალი გამოცემა დარეგისტრირდა, მათ შორის: „7 დღე" და „რეზონანსი", რომლებმაც ოფიციალური ინფორმაციის ნაცვლად საზოგადოებას პირველად შესთავაზეს დამოუკიდებელი ანალიზი.

განსაკუთრებული როლი ითამაშა 1994 წელს დაფუძნებულმა „რუსთავი 2“-მა, რომელიც სამმა მეგობარმა: ეროსი კიწმარიშვილმა, ჯარჯი აქიმიძემ და დავით დვალმა, რუსთავის მასშტაბით, დააარსეს და მალევე ეროვნულ არხად ჩამოყალიბდა (Media Meter, 2024). არხმა შემოიტანა გამოძიებითი ჟურნალისტიკის სტანდარტები და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა 2003 წლის ვარდების რევოლუციაში.

ამ პროცესის კულმინაციად შეიძლება ჩაითვალოს 2003 წლის ნოემბრის მოვლენები, როცა არჩევნების გაყალბების შემდეგ დაწყებულმა ოცდაერთდღიანმა პროტესტმა საზოგადოება

ტელეეკრანებთან მიაჯაჭვა. კვლევები აჩვენებს, რომ რევოლუციური განწყობა არჩევნებამდე დიდი ხნით ადრე ჩამოყალიბდა (Khutsishvili, 2008), თუმცა სწორედ ტელევიზიის, მათ შორის, საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხისა და ოპოზიციურად განწყობილი „რუსთავი 2“-ის ოპერატიულმა და მასშტაბურმა გაშუქებამ განაპირობა მოვლენების დინამიკა, რასაც 2003 წლის 23 ნოემბერს პრეზიდენტის გადადგომა მოჰყვა.

კვლევის დიზაინი

კვლევა თვისებრივია და აგებულია ერთი შემთხვევის სიღრმისეულ ანალიზზე - შემთხვევას წარმოადგენს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი და მისი საეთერო კომუნიკატორთა კორპუსი. რაოდენობრივი მაჩვენებლები აქ დიდად არ გვეხმარება, რადგან საეკრანო პროფესიის იდენტობის ცვლილება კონტექსტისა და ინტერპრეტაციის საკითხია და არა უბრალო აღრიცხვა. ამიტომაც კვლევა სამ სხვადასხვა წყაროს ეყრდნობა: საარქივო დოკუმენტაციას, ვიდეომასალასა და ინტერვიუებს, რომელთა ურთიერთშედარებაც საბოლოო სურათზე ცალკეული მეთოდის შეზღუდვების გავლენას ამცირებს.

მეთოდები

საარქივო ჩანაწერების, კანონმდებლობისა და მაუწყებლის შინაგანაწესების შესწავლა ისტორიული მეთოდით ხდება. ჩვენი მიზანია იმ საკვანძო ეტაპების დაფიქსირება, რომლებმაც საეკრანო კომუნიკატორის მოდელზე პირდაპირ იმოქმედა. პარალელურად, შეისწავლება პირველი არხის საეთერო მასალა სხვადასხვა პერიოდიდან: აქ საინტერესოა არა მხოლოდ რას ამბობს წამყვანი, არამედ როგორ აკეთებს ამას: ხმის ტონიდან - კადრის აგებამდე. მესამე წყარო, ინტერვიუები, კვლევას ჰმატებს იმას, რასაც არც არქივი მისცემს და არც ჩანაწერი - თავად პროფესიონალების შეხედულებას საკუთარ სამუშაოზე, მის ცვლილებასა და მიზეზებზე. ბოლოს, ეს სამივე შრე ერთმანეთს ედარება, რათა გამოჩნდეს, რამდენად ემთხვევა ინსტიტუციური ისტორია, ეთერული პრაქტიკა და პროფესიონალთა საკუთარი გამოცდილება.

მასალისა და მონაწილეთა შერჩევა

საარქივო ვიდეომასალა შეირჩევა სამი პერიოდიდან: საბჭოთა/ადრეული დამოუკიდებლობის, 2004-2005 წლების რეფორმის შემდგომი და თანამედროვე ეტაპიდან, ისეთი გადაცემებიდან, როგორიცაა „მოამბე", „დღის თემა" და „კვირის თემა". თითოეული პერიოდიდან აღებული ეპიზოდები ერთი ჟანრისაა, რათა შედეგები ნამდვილად შედარებადი გამოვიდეს. ინტერვიუს მონაწილეები კი შეირჩევა თაობისა და პირველ არხზე მუშაობის გამოცდილების მიხედვით - მოქმედი და ყოფილი დიქტორები, წამყვანები. მონაწილეთა რაოდენობა წინასწარ არაა ფიქსირებული და დამოკიდებულია იმაზე, როდის შეწყდება ახალი, არსებითად განსხვავებული ინფორმაციის მოძიება.მუშაობა ერთი ნახევრადსტრუქტურირებული კითხვარით მიმდინარეობს.

მონაცემთა შეგროვება და ანალიზი

დოკუმენტური წყაროები მოძიებულ იქნა საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივში, საკანონმდებლო ბაზებსა და მედიაკვლევის ორგანიზაციების ღია მასალებში. ინტერვიუები ნახევრად სტრუქტურირებულია. არსებობს საბაზისო კითხვარი, თუმცა ცალკეულ პასუხზე შეიძლება დამატებითი კითხვაც დაისვას, თუ ის ღირებულ დეტალს გახსნის. ჩაწერილი ინტერვიუების ტრანსკრიპტები ინახება შემდგომი კვლევისთვის. ანალიზისას საარქივო მასალას ვადარებთ წინასწარ ჩამოყალიბებულ კრიტერიუმებს: მეტყველების სტილს, ტექსტთან ურთიერთობას, კადრის აგებასა და ფუნქციურ დატვირთვას; ინტერვიუებს კი ვამუშავებთ თემატური ანალიზით, კვლევის სამი ძირითადი კითხვის მიხედვით დაჯგუფებული კატეგორიებით.

სანდოობა, ეთიკა და შეზღუდვები

სამი დამოუკიდებელი წყაროს ურთიერთშედარება თავისთავად ამცირებს ცალკეული პერსპექტივის მიკერძოების რისკს, განსაკუთრებით მაშინ, როცა სხვადასხვა თაობის რესპონდენტი ერთსა და იმავე მოვლენას სხვადასხვაგვარად იხსენებს. ინტერვიუში მონაწილეობა ნებაყოფლობითია, მონაწილეს წინასწარ ეცნობება კვლევის მიზანი და, სურვილის შემთხვევაში, მისი ვინაობა ანონიმური რჩება. კვლევას, ბუნებრივია, აქვს საზღვრებიც: ადრეული პერიოდის ვიდეომასალა ბოლომდე ხელმისაწვდომი არ არის, რეტროსპექტული ინტერვიუები კი მეხსიერების სუბიექტურობას ექვემდებარება. ერთ არხზე ფოკუსირება ზღუდავს პირდაპირ განზოგადებას კომერციულ მაუწყებლებზეც, თუმცა კვლევას სიღრმეს სწორედ ეს ვიწრო ფოკუსი ანიჭებს.

დასკვნა და შედეგები

სამივე წყაროდან მოძიებული მასალა ერთმანეთს ადასტურებს და საშუალებას გვაძლევს, ზოგადი სურათი შევკრათ.

ინსტიტუციური ცვლილება

ცვლილება ერთბაშად არ მომხდარა. 1995 წლის კონსტიტუციამ ცენზურა გააუქმა და დამოუკიდებელი პრესის ზრდას გზა გაუხსნა; „რუსთავი 2"-მა ახალი ჟურნალისტური სტანდარტი შემოიტანა და ე. წ. ვარდების რევოლუციაშიც ითამაშა როლი. მაგრამ პირველ არხზე გადამწყვეტი ბიძგი სწორედ 2004-2005 წლების რეფორმამ მისცა, როცა სახელმწიფო ტელევიზია საზოგადოებრივ მაუწყებლად იქცა. სწორედ მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, დიქტორის მკაცრი როლი წამყვანის უფრო თავისუფალი ფუნქციით შეცვლილიყო. თუმცა კანონი მხოლოდ პირობა იყო, დანარჩენი საქმე ციფრულმა ტექნოლოგიებმა და აუდიტორიის შეცვლილმა მოლოდინებმა გააკეთა.

პროფესიის შინაარსი

შეიცვალა თავად სამუშაოს არსიც. ალექსანდრა მაჭავარიანი, დონარა კინწურაშვილი, ეროსი მანჯგალაძე, კოტე მახარაძე, - ეს სახელები ნეიტრალურობისა და სახელმწიფოებრივი ავტორიტეტის სიმბოლოები იყო. დღეს „მოამბეს", „დღის თემისა" თუ „კვირის თემის"

წამყვანი მოდერატორია, თანაავტორია, ხშირად - ანალიტიკოსიც. შესრულების ფუნქცია ავტორობამ ჩაანაცვლა.

ეს ცვლილება ნდობის მექანიზმზეც აისახა: აუდიტორია აღარ ენდობა მხოლოდ ინსტიტუტს, არამედ პიროვნებას: მის ავთენტურობასა და, ხშირად, პარასოციალურ სიახლოვეს (Katz, Blumler & Gurevitch, 1973; Levy & Windahl, 1985). დღის წესრიგის ფორმირების როლიც შენარჩუნებულია, უბრალოდ სხვაგვარად ვლინდება (McCombs & Shaw, 1972; Wanta & Alkazemi, 2017), და, როგორც უოლტერ კრონკაიტის მაგალითი გვიჩვენებს, ეს ტენდენცია საქართველოს ფარგლებს სცდება (Najberg, 2009). ერთადერთი, რაც ამ სურათს ართულებს, არის კომერციალიზაციის მუდმივი ცდუნება - ავტორობასა და ინფოთეინმენტს შორის საზღვარი ხშირად მყიფეა, განსაკუთრებით არაკომერციული მაუწყებლისთვის, სადაც ეს, ერთი შეხედვით, საერთოდ არ უნდა იყოს პრობლემა.

ჯამში: საეკრანო პროფილის ცვლილება ვიზუალურზე მეტია. მას იდეოლოგიური გადატრიალება უდევს საფუძვლად: გადასვლა საბჭოთა მოდელიდან დასავლური ტიპის საზოგადოებრივ მაუწყებლობაზე.

რეკომენდაციები:

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხს გამოადგებოდა წამყვანის კომპეტენციების ისეთი სტანდარტი, რომელიც საავტორო თავისუფლებას სარედაქციო ნეიტრალიტეტს კი არ დაუპირისპირებს, არამედ დააბალანსებს მას. ცალკე გაიდლაინი, სადაც განსხვავება ანალიტიკურ ავტორობასა და ინფოთეინმენტს შორის ცხადად იქნება ჩამოყალიბებული, დაეხმარებოდა წამყვანებს, არ დაკარგონ საკუთარი სტილი კომერციალიზაციის გარეშეც.

ჟურნალისტიკის საგანმანათლებლო პროგრამებს გამოადგება დიქტორისა და წამყვანის მოდელების შედარებითი მოდული არა მხოლოდ ისტორიის, არამედ იმის გასაგებად, საიდან მოდის დღევანდელი ჰიბრიდული როლი. სასარგებლო იქნება ცალკე საუბარიც პარასოციალურ ნდობაზე, რადგან დამწყებმა ჟურნალისტმა ადრევე უნდა გაიაზროს, რომ საკუთარი საჯარო იმიჯიც პროფესიის ნაწილია.

და ბოლოს, კვლევა თავად საჭიროებს გაგრძელებას. ერთეული შემთხვევის ანალიზი განზოგადებას ზღუდავს, ამიტომ საინტერესო იქნებოდა იგივე კითხვების დასმა კომერციულ არხებთან მიმართებაშიც, ასევე რაოდენობრივი კვლევა, რომელიც გაზომავს, რამდენად რეალურად მოქმედებს პარასოციალური ნდობა მაყურებელზე, და გრძელვადიანი დაკვირვება იმაზე, როგორ ერწყმის წამყვანის ფუნქცია სოციალურ მედიას.

ბიბლიოგრაფია

ნორმატიული და ქართულენოვანი წყაროები

საქართველოს კონსტიტუცია. (1995, 24 აგვისტო). საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

Media Meter. (2024). *რუსთავი 2* [მედია-პროფილი]. მოძიებულია: mediameter.ge/ge/media-profiles/rustavi-2 (ბ. წ.: 22.07.2026)

უცხოენოვანი აკადემიური წყაროები

Katz, E., Blumler, J. G., & Gurevitch, M. (1973). Uses and gratifications research. *Public Opinion Quarterly, 37*(4), 509–523. https://doi.org/10.1086/268109 (ბ. წ: 12.08.2026)

Khutsishvili, G. (Ed.). (2008). *Civil society and the Rose Revolution in Georgia*. International Center on Conflict and Negotiation.

Levy, M. R., & Windahl, S. (1985). The concept of audience activity. In K. E. Rosengren, L. A. Wenner, & P. Palmgreen (Eds.), *Media gratifications research: Current perspectives* (pp. 109–122). Sage.

Lippmann, W. (1922). *Public opinion*. Harcourt, Brace and Company.

McCombs, M. E., & Shaw, D. L. (1972). The agenda-setting function of mass media. *Public Opinion Quarterly, 36*(2), 176–187. https://doi.org/10.1086/267990 (ბ. წ.: 12.08.2026)

Najberg, A. (2009). Cronkite and the making of a trusted anchor. *The Wall Street Journal*.

Wanta, W., & Alkazemi, M. F. (2017). Agenda-setting: History and research tradition. In P. Rössler, C. A. Hoffner, & L. van Zoonen (Eds.), *The international encyclopedia of media effects*. Wiley. https://doi.org/10.1002/9781118783764.wbieme0030 (ბ. წ.:10.08.2026)